



EEU

საგანმანათლებლო და კველვითი  
საქმიანობის მარეგულირებელი დებულება

## შესავალი

შპს აღმსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ ღირებულებებს და წარმოადგენს განვითრებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

იზარებს რა სგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის გამოცდილებას მიზნად ისახავს შეიმუშავოს და განახორციელოს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, უზრუნველყოს კომპეტენტური კადრების მომზადება და პასუხისმგებლობა აიღოს საზოგადოების წინაშე მათ კვალიფიციურობაზე.

წინამდებარე დებულება შექმნილია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის განმჭვირვალედ და ეფექტურად განხორციელება. მასში ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის პროცედურები, წესები და პრინციპები, რომელიც შესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობასა და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისისა და მიზნების თანმიმდევრულ რეალიზებას.

უნივერსიტეტი დარწუმენბულია, რომ მისი მისისა და მიზნების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარ სტუდენტებთან, პერსონალთან, პარტნიორ დამსაქმებლებთან, სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიდგომების ადეკვატური, თანმიმდევრული ასახვით უნივერსიტეტის საქმიანობაში. შესაბამისად საგანმანათლებლო და კველვითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულმა პირმა.



## მისია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

მისია არის:



სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო  
სტანდარტების დანერგვა;



დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ  
ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა სტუდენტებისა და  
აკადემიური საზოგადოებისათვის;



სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ  
განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის  
მოთხოვნების გათვალისწინებით.



## თავი პირველი -ზოგადი დებულებები

მუხლი 1. უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი და წინამდებარე დებულების მოქმედების სფერო;

მუხლი 2. უნივერსიტეტის საქმიანობის საგანი;

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები

## თავი მეორე - მართვა და სტრუქტურა

მუხლი 4. ზოგადი დებულებები

მუხლი 5. უნივერსიტეტის სტრუქტურა

მუხლი 6. დამფუძნებელთა/პარტნიორთა საერთო კრება

მუხლი 7. რექტორი

მუხლი 8. ვიცე-რექტორი

მუხლი 9. წარმომადგენლობითი საბჭო

მუხლი 10. ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 11.ფაკულტეტი

მუხლი 12. სადოკტორო სკოლა

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 14. ბიბლიოთეკა

მუხლი 15. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

მუხლი 16. საგამოცდო ცენტრი

მუხლი 17. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

მუხლი 18. კანცელარია

მუხლი 19. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

მუხლი 20. იურიდიული სამსახური

მუხლი 21. საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

მუხლი 21<sup>1</sup>. ტრენინგ ცენტრი

მუხლი 21<sup>2</sup>. საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური

მუხლი 22. დამხმარე პერსონალი

### თავი მესამე - საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 23. უმაღლესი განათლება

მუხლი 24. სწავლების ენა

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის მიღება

მუხლი 26. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმება

### თავი მეოთხე - სტუდენტი

მუხლი 27. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 28. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

მუხლი 29. დამატებითი სემესტრის გავლა

მუხლი 30. სტუდენტის დატვირთვა და მიღწევების შეფასება

მუხლი 31. სტუდენტის სტატსუსის შეჩერება

მუხლი 32. სტუდენტის სტატსუსის აღდგენა

მუხლი 33. სტუდენტის სტატსუსის შეწყვეტა

მუხლი 34. მობილობის უფლების მქონე პირი

მუხლი 35. მობილობის პროცედურების ადმინისტრირება

მუხლი 36. შიდა მობილობა

მუხლი 37. მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 38. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკირების მინიჭება

### თავი მეხუთე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი

მუხლი 39. აკადემიური თანამდებობების განმარტება

მუხლი 40. აკადემიური თანამდებობის დაკავების პრინციპები

მუხლი 41. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

მუხლი 42. კონკურსის გამოცხადება

მუხლი 43. აკადემიური თანამდებობის დაკავება

მუხლი 44. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 45. აკადემიური პერსონალთან შრომითი ურთიერთობა

მუხლი 45<sup>1</sup>. აკადემიური პერსონალის აფილირება

მუხლი 46. მოწვეული სპეციალისტი -ლექტორი

### თავი მეექვსე- სხვა დებულებები

მუხლი 47. ბიბლიოთეკით სარგებლობა

მუხლი 48. კომპიუტერული კლასით სარგებლობა

მუხლი 49. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა

მუხლი 50. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა  
მომსახურება

მუხლი 51. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები



**მუხლი 1. უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი და წინამდებარე დებულების მოქმედების სფერო**

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - **უნივერსიტეტი**) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს, რომლის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა- კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის სზოგადოება.

2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა:

ა. ქართულად: „შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“;

ბ. ინგლისურად: “**L.T.D East European Teaching University** ”

3. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობი, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

4. უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი, სატიტულო ფურცელი, საბანკო ანაგარიში, ოფიციალური ვებგვრედი და საკონტაქო ელ-ფოსტა.

5. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, შატილის ქ. N4.

6. უნივერსიტეტი ფუნქციონირებს : თბილისი, შატილის ქ. N4.

7. ეს დებულება აწესრიგებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორცილების პროცესს, უნივერსიტეტის საქმიანობის პრინციპებსა და წესებს.

**მუხლი 2. უნივერსიტეტის საქმიანობის საგანი**

1. უნივერსიტეტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული საგანმანათლებლო საქმიანობა.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის და მიანიჭოს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი კავლიფიკაცია, ასევე განახორციელოს სასერთიფიკატო ან/და სხვა სახის პროგრამები დაინტერესებულ პირთათვის.

3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, კონკურენტუნარიანი, სტუდენტზე ორინეტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

### მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები

#### 1. მიზანი:

უნივერსიტეტი გაცხადებული მისიდან გამომდინარე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს, მათ შორის:

- ა) ქართულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა დამკვიდრებისათვის ხელშეწყობას;
- ბ) დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებას, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- გ) სტუდენტებისათვის პროფესიულ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ცოდნის გადაცემას;
- დ) სტუდენტის ჩამოყალიბებას ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლებისმოყვარე და დემოკრატ პიროვნებად;

- ე) უნივერსიტეტის ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში; საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას;
- ვ) სასწავლო პროგრამის ციკლის ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას;
- ზ) კვლევისა და სწავლების პროცესის განუყოფლობას;
- თ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზებას როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების წიაღში;
- ი) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას.
- კ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა.

## 2. დასახული მიზნების შესასრულებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

სწავლის, კვლევისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრების ყველა პირობას, რაც კონკრეტულად გამოიხატება სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მუდმივი მოდერნიზაციით, ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-განახლებითა და ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნით, სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების სათანადო ხელშეწყობით.

3. უნივერსიტეტი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის პრიორიტეტებს, ასევე ადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებას.

4. უნივერსიტეტი აცნობიერებს რა ნაკისრ ვალდებულებათა მოცულობასა და სირთულეს, პასუხისმგებლობას იღებს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საზოგადოების განვითარებაში.

## თავი მეორე მართვა დ სტრუქტურა



#### მუხლი 4. ზოგადი დებულებები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლება - მოსილება ეფუძნება ორგანიზაციის მართვის თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მისისა და მიზნების თანმიმდივრულ და ეფექტურ რეალიზებას.
2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებით.
3. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნების მიზნით უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, კონტრაქტით მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტები/ექსპერტები.

#### მუხლი 5. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტებია:
  - ა) პარტნიორთა საერთო კრება,
  - ბ) რექტორი,
  - გ) ვიცე-რექტორი;
  - დ) წარმომადგენლობითი საბჭო.
2. უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:
  - ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
  - ბ) ფაკულტეტი;

- გ) სადოქტორო სკოლა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური;
- დ) სადისერტაციო საბჭო;
- ე) ბიბლიოთეკა;
- ვ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- ზ) საგამოცდო ცენტრი;
- თ) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- ი) კანცელარია;
- კ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ლ) იურიდიული სამსახური;
- მ) საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;
- ნ) ტრენინგ ცენტრი;
- ო) საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური.
3. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს განეკუთვნება უნივერსიტეტის საჭიროებისათვის ხელშეკრულებით დაქირავებული პერსონალი.

## მუხლი 6. პარტნიორთა საერთო კრება

1. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება;
2. პარტნიორთა კრება ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორს;
3. პარტნიორთა საერთო კრების სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

## მუხლი 7. რექტორი

1. უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობს და წარმართავს უნივერსიტეტის საქმიანობას.
2. უნივერსიტეტის რექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.
3. რექტორი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების, ამ დებულებისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების

შესაბამისად, წარმოადგენს უნივერსიტეტს ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ან ამ უფლებას გადასცემს სხვას.

#### 4. რექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა)რექტორი სამართლებრივი აქტით-ბრძანებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ანაწილებს მათ შორის ფუნქციებსა და მოვალეობებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

ბ)თანამდებობაზე ნიშნავს აკადემიურ პერსონალს საკონკურსო კომისიის შუამდგომლობის/წარდგინების საფუძველზე.

გ)ბრძანების გამოცემის გზით წყვეტს აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს;

დ) ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, ბეჭედს, სატიტულო ფურცელსა და შტამპს;

ე)ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესა და სტარტეგიული განავითარების გეგმებს წარმოამდგენლობითი საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივ აქტებს;

ზ) განსაზღვრავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ვადებს.

თ) უფლებამოსილია კეთილგონიერების ფარგლებში, გაატაროს დისციპლინარული ხასიათის ღონისძიებები, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო პერსონალის ასევე უნივერსიტეტის სტუდენტების მისამართით;

ი)გასცემს მინდობილობებს, მისი არყოფნის შემთვევაში ნიშნავს მისი მოვალეობის შემსრულებელს.

კ) დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან (პროფესორები და მოწვეული სპეციალისტები), ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან და ასევე სტუდენტებთან;

ლ)გამოსცემს ბრძანებებს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით;

მ)ზედამხედველობს წინამდებარე დებულების შესრულებას;

- ნ) გამოსცემს ბრძანებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდნეტის სტატუსის მინიჭების/ჩარიცხვის შესახებ.
- ო) გამოსცემს ბრძანებას დიპლომის გაცემის შესახებ და ხელს აწერს დიპლომს;
- პ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ჟ) იღებს სამართლებრივ აქტებს იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელთა მოწესრიგება, წინამდებარე დებულების შესაბამისად, არ განეკუთვნება სხვა სტრუქტურულ ერთეულთა უფლებამოსილებას.

5. უნივერსიტეტის საქმინობის ეფექტური ადმინისტრირებისათვის რექტორს ჰყავს აპარატი, რომლის შემადგელობა და ფუნქციები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

6. რექტორს უნივერსიტეტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჰყავს მრჩეველი:

ა) სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

7. მრჩეველს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით. მრჩეველის ფუნქციები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

8. უნივერსიტეტის რექტორი ანგარიშვალდებულია შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების წინაშე.

## მუხლი 8. ვიცე-რექტორი

1. უნივერსიტეტს ჰყავს ოთხი ვიცე-რექტორი შემდეგი მიმართლებით:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;

ბ) სამეცნიერო საკითხებში;

გ) სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში;

დ) სამართლებლივ, საერთაშორისო ურთიერთობების და მონიტორინგის საკითხებში.

2. ვიცე-რექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ვიცე-რექტორები ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე.

3. ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში:

ა) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს;

- ბ) ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის სისტემურ შეფასებას, რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- გ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემები და ა.შ.) დანერგვის გზით;
- დ) განსაზღვრავს თვითშეფასების კრიტერიუმებს და ამზადებს უნივერსიტეტის თვითშეფასებას ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესისათვის;
- ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტებზე მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

#### 4. ვიცე-რექტორი სამეცნიერო საკითხებში:

- ა) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- გ) ზრუნავს კვლევის პროცესში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე;
- დ) შეიმუშავებს წინადადებებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;
- ე) არის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

#### 5. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში:

- ა) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის საქმიანობას;
- ბ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების ადმინისტრირებასა და კოორდინაციას;
- გ) ზრუნავს სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე;
- დ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

#### 6. ვიცე-რექტორი სამართლებლივ, საერთაშორისო ურთიერთობების და მონიტორინგის საკითხებში:

- ა) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფას;
- ბ) ახორციელებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის;
- გ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ურთიერთობებსა და თანამშრომლობას როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო ფონდებთან და ორგანიზაციებთან;

- დ) ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობას;
- ე) კოორდინაციას უწევს საერთაშორისო პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას;
- ვ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პრინციპის განხორციელებას.

#### **მუხლი 9. წარმომადგენლობითი საბჭო**

1. უნივერსიტეტში მართვის სისტემის გამჭვირვალობის, გადაწყევტილების მიღებაში უნივერსიტეტის საზოგადოების სრულფასოვანი ჩართულობის და კომპეტენტური რჩევებისათვის შექმნილია სათათბირო, კოლეგიური სტრუქტურული ერთეული-წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში-საბჭო).
2. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
3. საჭოს შემადგელობაში ავტომატურად შედიან ვიცე-რექტორები, ფაკულტეტის დეკანები და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.
4. საბჭოს წევრობის უფლება აქვს:
  - ა) აკადემიურ პერსონალს ;
  - ბ) სტუდენტს;
  - გ) დამსაქმებლებს;
  - დ) განათლების ექსპერტებს;
  - ე) და სხვა.
5. საბჭოს სხდომების ორგანიზებას, სხდომის ოქმების და მიღებული წარდგინებების სისტემატიზაციასა და აღრიცხვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კანცელარია.
6. საბჭოს საქმიანობის რეგლამენტი იქმნება საბჭოს წევრების მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
7. საბჭოს მუშოაბის ეფექტინობის გაზრდისათვის და წევრთა მოტივაციის ასამაღლებლად უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია გაატაროს წამახალისებელი ღონისძიებები, რომლის ფორმა და პროცედურები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

8. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სარეკომენდაციო შინაარსისაა, ფორმდება წარდგინების სახით.

9. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს და მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას..

10. საბჭოს უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.

11. საბჭო ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) იხილავს და რეკომენდაციას ამლევს რექტორს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, შესრულებისა და შეცვლის თაობაზე;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო კურსების პროგრამებს(კომპონენტების სილაბუსებს), საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს , რომელიც ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

გ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხს, რომელიც ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის მისიის შემუშავებაში;

ე) ხელს უწყობს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის განვითარებას, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების განხორციელებას;

ვ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, ასევე, ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასა და დასამტკიცებლად წარუდენს უნივერსიტეტის რექტორს;

ზ) განსაზღვრავს კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასა და დასამტკიცებლად წარუდენს უნივერსიტეტის რექტორს;

ზ<sup>1)</sup>) განსაზღვრავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ გამოცდებს, აგრეთვე ვაკანტური ადგილების რაოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

თ) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ვიცე-რექტორის წარდგინებით განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს, აგრეთვე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და ინსტრუქციას;

ი) განსაზღვრავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, დატვირთვის ფორმებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურების კრიტერიუმებსა და ტარიფებს;

კ) შეიმუშავებს სასწავლო- კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს;

ლ)ხელს უწყობს უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის განვითარებას, ამ მიზნით უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით და გარეთ კვლევით საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობას და არსებულის გაღრმავებას. სადოქტორო სკოლის მხარდაჭერას სადოქტორო პროგრამების წარმატებულად განხორციელების მიზნით.

მ) ისმენს ყოველწლიურ ანგარიშს ფაკუტეტებისა და სადოქტორო სკოლის.

ნ) რექტორის დავალების საფუძველზე, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სასწავლო - კვლევითი პროცესის სრულყოფასთან.

#### მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარებისა და მართვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შექმნილი სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ზრუნავს უნივერსიტეტის მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება—განახლებაზე.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, საგანმანათლებლო პროგრამების მაქსიმალური მოქნილობის პრინციპით შემუშავებას, ეროვნული დარგობრივი სტანდარტების უნივერსიტეტის პროგრამებში დროული და ნოვატორული ასახვისათვის. თანამშრომლობს საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, მათი მუშაობის სისტემატური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების გზით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, იკვლევს დარგობრივი დოკუმენტების პროექტებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს რეკომენდაციებს, მუდმივად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების დაკონკრეტებისა და დეტალიზაციის პროცესში.

6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობაში შედიან მენეჯერები, რომელიც საფაკულტეტო დონეზე უზრუნველყოფენ შემდეგი საკითხებისა და პროცედურების ადმინისტრირებას:

ა) სტუდენტთა მომსახურების სერვისების განვითარებისა და კარიერის ხელშეწყობის;

- ბ) სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და ანალიზის.

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ა) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;
- გ) სტუდენტთა შეფასების ფორმების, სასწავლო პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.), სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შემუშავება.
- დ) სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფა.

ე) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსისათვის წამოყენებული ჩარჩო მოთხოვნების განსაზღვრა;

9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შეიმუშავებს შესაბამის პოლიტიკასა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურებს;
- ბ) პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
- გ) უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობს პერსონალის დაკომპლექტების, დატვირთვის განსაზღვრის, სტუდენტთა მობილობის სისტემის სწორი გამოყენების რეგულაციაში;
- დ) ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს;
- ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას.

3) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

10. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურად მუშაობისათვის შესაძლებელია დამატებით კონტრაქტით მოწვეულ იქნენ ექსპერტები/სპეციალისტები.

## მუხლი 11. ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია.
2. უნივერსიტეტში ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი წარმომადგენლობით საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე.
3. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტის გამართულ და წარმატებულ ფუნქციონირებას. დეკანს ჰქონდება მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეკანზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.
4. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი და მაგისტრალუტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.
5. საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულად და სრულაფსოვნად განხორციელების მიზნით ფაკულტეტს ჰქონდება ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომლის შემადგელობაშიც შედიან სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები. ფაკულტეტზე, ასევე, შეიძლება შეიქმნას ფაკულტეტის დაქვემდებარებული ერთეულები, რომელთა შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე.
6. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს:

  - ა) სტუდენტთა პირადი მონაცემების ცალკე საქმედ შენახვას;
  - ბ) სტუდენტთა სასწავლო ბარათების შევსებას;

გ)საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყოველი კურსისათვის ლექტორის მიერ სტუდენტებისათვის მიცემული შეფასებების სკალირება, საგნის საბოლოო შეფასების გამოყვანა.

დ)კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების შევსება;

ე)სხვა საკითხების ადმინისტრირებას, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტებზე სასწავლო პროცესის მართვას ეფექტურად და თანმიმდევრულად.

#### **მუხლი 12. სადოქტორო სკოლა და სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახური**

1.სადოქტორო სკოლა წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმნათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევის გზით, ახალი ცოდნის შექმნა და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და ამ კონტექსტში სადოქტორო პროგრამების განხორცილების თანმიმდევრული და ეფექტური ადმინისტრირება.

2.სადოქტორო სკოლის ფუნქციები და შემადგენლობა განისაზღვრება სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

3. სამეცნიერო კველევებისა და განვითარების სამსახური წარმაოდგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დადოქტორო სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებისა და განვიათარების ხელშეწყობასა და ადმინისტრირებას

4.სამეცნიერო კველევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლასთან მჭიდრო კორდინაციით უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა და კორდინაცია.

ბ) უნივერსიტეტში წარდგენილი/მიმდინარე/შესრულებული პროექტების, მათ შორის საგრანტო პროექტების რეგისტრაცია და მათი შესრულების მონიტორინგი;

გ) სამეცნიერო ფონდებთან, დონორ ორგანიზაციებთან, საპატენტო ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

- დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობა;
- ე) უნივერსიტეტის პერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;
- ვ) სათანადო ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორისათვის რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;
- ზ) სხვა ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- თ) სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისათვის.
- ი) ყოველი აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე;
- კ) საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურის სტუდენტთა სტატიების საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველყოფა.

5. სამეცნიერო კველევებისა და განვითარების სამსახურის ამოცანები და შემადგენლობა განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

### მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, ამ დებულებისა და სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

#### **მუხლი 14. ბიბლიოთეკა**

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შეფერხების გარეშე განხორციელებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანიცაა უნივერსიტეტის ყველა სახის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე წიგნადი ფონდით, როგორც ელექტრონული სახის, ასევე ციფრულ მატარებლებზე არსებული რესურსებით.

2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონის ამაღლება, სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბების საქმეში.

3. უნივერსიტეტის მისიის და მიზნების უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკა ეფექტურ კოორდინაციაშია უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან.

4. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე ქართული და უცხოური გამოცემებით, მათი დაცვა და მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) მონაცემთა ბაზების შექმნა.

გ) საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

6. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

ა)წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას, აკონტროლებს ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მოვალეობების შესრულებას;

ბ) პასუხს აგებს ბიბლიოთეკის ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

გ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის, თანამშრომელთა და მკითხველთათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

7. ბიბლიოთეკაში მომხმარებლისათვის სრულყოფილი მომსახურების გასაწევად გამოყოფილია სპეციალური სამკითხველო დარბაზი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამკითხველო დარბაზის ზედამხედველი.

8. სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელს თნამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

#### **9. სამკითხველო დარბაზის ზედამხედველი:**

ა)უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ბიბლიოთეკის ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით და სხვადასახვა სახის ინფორმაციით.

ბ) უზრუნველყოფს მსურველთათვის სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მკითხველის ფორმულარების გახსნას.

გ) იღებს წიგნებს, უზრუნველყოფს მათ დამუშავებას საბიბლიოთეკო საერთაშორისო სტანდარტებით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ერთად;

დ) უზრუნველყოფს წიგნების აღრიცხვას ელექტრონულ კატალოგში;

ე) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ გამოწერილი პერიოდივის დამუშავებასა და აღრიცხვას;

ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში სათანადო წესრიგის დაცვას;

ზ) ემსახურება მკითხველებს სამკითხველო დარბაზში.

10.ბიბლიოთეკის შემადგენლობაში ასევე შედიან სპეციალისტები, რომლებიც კომპეტენციების გამიჯვნის საფუძველზე ახროციელებენ ბიბლიოთეკის საქმიანობას.

11.ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განსისაზღვრება “ბიბილოთეკით სარეგბლობის ინსტრუქციით“.

#### **მუხლი 15. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური**

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური კორდინაციას უწევს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე;
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდრება სამსახურის დებულებით.

#### **მუხლი 16. საგამოცდო ცენტრი**

1. საგამოცდო ცენტრი ახორციელებს უნივერსიტეტში გამოცდების ორგანიზებას და ხელს უწყობს საგამოცდო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;
2. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის სტრუქტურა, ფუნქციები, ცენტრის მიერ გამოცდების ჩატარების ფორმები, პროცედურები, გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესები და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება „საგამოცდო ცენტრის დებულებით“.

#### **მუხლი 17. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური**

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში მონაწილეობას, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის გაწევრიანებას, უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას, საერთაშორისო პროექტების მომიება და მასში უნივერსიტეტის ჩართვას.
2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდრება სამსახურის დებულებით.

#### **მუხლი 18. კანცელარია**

1. კანცელარია უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ერთიანი საქმისწარმოების ადმინისტრირებას.

2.კანცელარიის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდობა კანცელარიის დებულებით.

### მუხლი 19. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1.ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საკადრო საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენას, წარმოებას, შენახვას, უნივერსიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების ფორმირებას, შრომითი ხელშეკრულებების მომზადებასა და რეგისტრაციას.

2.ადამინური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდობა სამსახურის დებულებით.

### მუხლი 20. იურიდიული სამსახური

1.უნივერსიტეტის საქმიანობის სამრთლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს იურიდიული სამსახური.

2.იურიდიული სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდობა სამსახურის დებულებით.

### მუხლი 21. საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

1.საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსების ეფექტუალიზაციას მართვის საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალისათვის სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას.

2.საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის შემადგენლობაში ასევე შედის სამედიცინო კაბინეტი, რომლის მეშვებითაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა.

3.საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვდობა სამსახურის დებულებით.

### მუხლი 21<sup>1</sup>. ტრენინგ ცენტრი

- ტრენინგ ცენტრი უზრუველყოფს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგებისა და სასერტიფიკატო კურსების დაგეგმვა-ორგანიზებას, სასერტიფიკატო სასწავლო კურსების განხორციელებას, სტუდენტების პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვასა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.
- ტრენინგ ცენტრის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

### **მუხლი 21<sup>2</sup>. საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური**

- საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური უზრუნვლყოფს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას, სტუდნეტებისათვის განამავითარებელი აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობას, რისთვისაც შეიმუშავებს კომუნიკაციის, ინფორმაციის მოპოვებისა და გვარცელების ეფექტურ სისტემას, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ურთიერთობას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას.
- საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

### **მუხლი 22. დამხმარე პერსონალი**

- უნივერსიტეტის სრულფასოვანი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის შეიძლება უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული იქნეს შესაბამისი კომპეტენციისა და რაოდენობის სპეციალისტები.
- დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრება მათთან დადებული ხელშეკრულებით



თავი მესამე  
საგანმანათლებლო  
პროგრამა

**მუხლი 23. უმაღლესი განათლება**

1. უმაღლესი განათლება მოიცავს სამ საფეხურს;
  - ა. პირველი საფეხური - ბაკლავრიატი, 240 კრედიტის მოცულობით;
  - ბ. მეორე საფეხური - მაგისტრატურა, 120 კრედიტის მოცულობით;
  - გ. მესამე საფეხური - დოქტორანტურა, 180 კრედიტის მოცულობით.
2. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.

**4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებია:**

- ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- გ) დასკვნის უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

- დ) კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ვ) ღირებულებები – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

## 5. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება – აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- გ) დასკვნის უნარი – რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- დ) კომუნიკაციის უნარი – თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ე) სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

ვ) ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

#### **6. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებია:**

ა) ცოდნა და გაცნობიერება – დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და

ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

გ)დასკვნის უნარი – ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

დ)კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

ე)სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;

ვ)ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

**მუხლი 24. სწავლების ენა**

1. უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული.

2 უნივერსიტეტში შესაძლოა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამები უცხოურ ენაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის მიღება**

1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული საკუალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტის - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საგანმანათლებლო კურსების ერთობლიობის - საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და ხარისიხს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ვიცე-რექტორისა და ფაკულტეტის ხარისის უზრუნველყოფის მენეჯრების ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა და დამტკიცბა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამატებითი პროცედურები და მეთოდები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები:

ა) გაცლითი საგანმანათლებლო პროგრამა არის ისეთი სახის პროგრამა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება ერთობლივად განახორციელოს

უნივერსიტეტმა საქართველოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებასთამნ ერთად.

5. უნივერსიტეტი უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რათა მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.

6. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში, როგორც პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

7. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული უნივერსიტეტში, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

9. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი უნივერსიტეტს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

10. უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი პროგრამის განხორცილება დასაშვებია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანინის 49<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 26.საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმება**

- 1.საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.
- 2.საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დაასრულებინოს სტუდენტს სასწავლო კომპონენტი, რომლის შესწავლაც დაწყებული აქვს.
- 3.თუ საგანმანათლებლო პროგრამაში, სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებლობით განპირობებული ცვლილებების განხორციელების შედეგად, წარმოდგენილია ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი (განსხვავებული სწავლის შედეგებით), უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ აღნიშნული სავალდებულო სასწავლო კურსის ათვისებას დამატებითი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი სასწავლო კურსის/კურსების წარმოდგენა განპირობებულია კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანით.
4. თუ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება მნიშვნელოვნად აუარესებს სტუდენტის მდგომარეობას სწავლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით და ეს ცვლილება არ არის გამოწვეული პროგრამის საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით, უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს პროგრამის მოდიფიცირებამდელი ვერსიით, თუ პროგრამის შეცვლამდე არსებული ვერსია შემოწმებულია ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცედურით, რითაც დასტურდება პროგრამის შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან, რაც ემსახურება პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული უნდა აისახოს უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამოცემულ აქტში, გარდამავალი დებულების სახით.

## 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება:

5.1. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს, თუ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მისიას ან კანონმდებლობის მოთხოვნებს, საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხებიან სტუდენტები ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის პროგრამის განხორციელებას.

5.2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს სტუდენტის მიერ განათლების სრულფასოვნად მიღება შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და კონსულტაციას სხვა დაწესებულებებში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების და მობილობის შესაძლებლობის შესახებ;

ბ) უნივერსიტეტი ხელს შეუწყოს სტუდენტის მობილობას პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გ) უნივერსიტეტი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს მემორანდუმს/ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით;

დ) უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი საფეხურის სხვა პროგრამაზე გადასვლას (არსებობის შემთხვევაში) შიდა მობილობის წესით;

ე) თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების პირობები ვერ სრულდება და პროგრამის გაუქმების მიზეზი არ არის დაწესებულების ლიკვიდაცია, ავტორიზაციის ან რეგულირებადი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - აკრედიტაციის გაუქმება, უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტს დაასრულებინოს საგანმანათლებლო პროგრამა.



## მუხლი 27. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

**1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე:**

1.1. საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და წინამდებარე დებულების შესაბამისად. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, მობილობის წესით ჩარიცხვის გზით.

1.2. საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია რექტორის აქტით დაადგინოს დამატებითი პირობები საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველისთვის (შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადასტურება და ა.შ.). რექტორის აქტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები და პროცედურები წინ უნდა უსწრებდეს მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემას.

1.3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გზით უნივერსიტეტის საბაკალავრო/ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

1.4. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უფლებამოსილი პირი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში მიმართოს და წარადგინოს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები.

1.5. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

1.6. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია, პირის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

1<sup>1</sup>. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/ საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვთ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

## 2. სტუდენის სტატუსის მოპოვება უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე:

2.1. აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების ან დაშვების სხვა წინაპირობების (ცალკეულ პროგრამებზე დაშვების შესაბამისი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში) დაკმაყოფილების/წარმატებით გადალახვის შემთხვევაში. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, ასევე შესაძლებელია მობილობის გზით.

2.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის აქტით განსაზღვრული წესით დადადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. უნივერსიტეტი მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტს და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საგამოცდო თემატიკა შესაბამისი სამაგისტრო გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზების, სააპელაციო განცხადებების წარდგენის ვადები და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება რექტორის აქტით.

2.3. თუ საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია უცხო ენის განსაზღვრული დონე, შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე შესაბამისი ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით, ან შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით, რაც ათავისუფლებს სტუდენტს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისაგან.

2.4. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2.5. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 5 ოქტომბრამდე იგზავნება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

### **3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურზე:**

3.1. აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

3.2. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

3.3. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის არანაკლებ B 2 დონე, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო სერთიფიკატით უცხო ენაში, ასევე, თუ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ნასწავლი აქვს უცხოენოვან პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

3.4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ნაშრომის სავარაუდო სათაურისა და სტრუქტურის მითითებით ასევე სამოტივაციო წერილით, რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის საგანსა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას.

3.5. სადოქტორო სკოლის კანდიდატები მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ გაივლიან გასაუბრებას უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ კომისიასთან.

3.6. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე დარგობრივი კომისიის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სადოქტორო სკოლაში ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ. სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

3.7. სადოქტორო პროგრამებზე მისაღები დამატებითი მოთხოვნები და პროცედურები შესაძლოა განისაზღვრებოს/დაზუსტდეს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და რექტორის აქტით.

#### **მუხლი 28. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია**

1. სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტმა უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ყოველის სემესტრის დაწყებამდე.

2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულიხსმობს სტუდენტის მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას.

4. თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შემუშავება.

4<sup>1</sup>. თუ სტუდენტი ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში არ გადაიხდის სწავლის საფასურს ან დაარღვევს ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ ინდივიდუალური გადახდის გრაფიკს, დაკავშირება პირგასამტებლო 20 ლარის ოდენობით და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საურავი გადასახდელი თანხის 0,05%-ის ოდენობით.

5. თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უფლება აქვს მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს.

6. სტუდენტი უფლებამოსილია სწავლის დაწყებიდან 1 კვირის განმავლობაში მოითხოვოს სასწავლო ბარათში ცვლილების შეტანა (სასწავლო კურსის შეცვლა);

7. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ ელექტრონული პორტალის საკუთარ გვერდზე შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას ან ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტის სასწავლო ბაზაში სასწავლო კურსების დაფიქსირებას. აკადემიური რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით. სტუნდენტს, რომელსაც არ აქვს გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია არ აქვს აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება.

8. უნივერსიტეტის ფაკულტეტები ვალდებული არიან სტუდენტებს სასწავლო კურსებზე შესაბამისი არჩევანის გაკეთების მიზნით, შესთავაზონ საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გეგმა, რომელიც თავსდება შესაბამის ელექტრონულ პორტალზე და სტუდენტს აქვს მისი ხედვის საშუალება.

9. სტუდენტს სასწავლო გეგმა შეეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხოლო თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პოროგრამაზე ჩარიცხულია მობილობის გზით ან მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (აკადემიური ჩამორჩენა და ა.შ.), უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელი გეგმა-

გრაფიკის შეთავაზებას, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.

10. ერთი კრედიტის ღირებულება ანგარიშდება ფორმულით: საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულება გაყოფილი პროგრამის მოცულობაზე (მაგ. 2250 ლარი/60 კრედიტზე)

11. თუ სტუდენტი სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით და მის ანგარიშზე სრულად ჩამოირიცხა სახელმწიფო გრანტი, ხოლო სტუდენტი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიურ რეგისტრაციას გადის 30-ზე ნაკლებ კრედიტზე, სტუდენტს უნარჩუნდება გრანტის სახით მიღებული დარჩენილი კრედიტების რაოდენობის ღირებულება და შეუძლია მისი გამოყენება პროგრამით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადის განმავლობაში.

#### **მუხლი 29. დამატებითი სემესტრის გავლა**

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის ხარისხს, უფლება აქვს მომდევნო ექვსი სემესტრის მანძილზე თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა.

2. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.

3. დამატებით სემესტრში დარეგისტრირების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

#### **მუხლი 30. სტუდენტის დატვირთვა და მისი მიღწევების შეფასება**

1. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სემინარს, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას და სხვა;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

- დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას;
- ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.
2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
3. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. კრედიტის დამატების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის განმავლობაში.
5. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი). პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კურსის ხანგრძლივობა იყოს განსხვავებული და განისაზღვროს კურსის სილაბუსით.
6. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

7. კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
9. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე და შესაბამისი სილაბუსით დადგენილი შეფარდებით ითვალისწინებს.
  - ა) შუალედურ შეფასებას (შუალედური გამოცდა/გამოცდები, პროექტი, პრეზენტაცია, რეფერატი და ა.შ. - მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
10. შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულების რაოდენობა დგინდება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის 40 ქულაზე მეტითა და 30 ქულაზე ნაკლებით შეფასება.
- 10<sup>1</sup>. შუალედური გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს აქვს აღადგენის უფლება. არასაპატიო მიზეზით შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მისი აღდგენის თხოვნით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სტუდენტს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი შუალედური გამოცდის აღდგენის საფასური 50 ლარის ოდენობით.
11. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში უგროვდება შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის არანაკლებ 30%-ისა ბაკალავრიატში, არანაკლებ 35%-ისა ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, არანაკლებ 40%-ისა მაგისტრატურაში, არანაკლებ 50%-ისა დოქტორანტურაში,

თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 30%-ისა, ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა არანაკლებ 50%-ისა, ხოლო დოქტორანტმა - არანაკლებ 50%-ისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი შესაბამის კომპონენტში ფასდება 0 ქულით.

12<sup>1</sup>. დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 30%-ს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12<sup>2</sup>. სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასვნითი შეფასებით, შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. მაგისტრანტს/დოქტორანტს კვალიფიკაცია ენიჭება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში მაქსიმალური ქულის არანაკლებ 60%-ის მიღების შემთხვევაში.

13. საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50%“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. ძირითადი გამოცდის შედეგების გამოცხადებასა და დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

14<sup>1</sup>. სამაგისტრო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) FX-ით შეფასების მიღების შემთხვევაში იმავე სემესტრში განმეორებით დაცვაზე ნაშრომის წარდგენა დაუშვებელია. მომდევნო სემესტრში განმეორებით დაცვაზე გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) წარდგენითვის სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და გადაიხადოს 300 ლარი. სამაგისტრო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) F-ით (არადამაკვაყოფილებელი) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) წარდგენის უფლებას;

14<sup>2</sup>. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის შეფასების საკითხები განისაზღვრება სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

15. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებით, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება შუალედური შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მათი ხვედრითი წილი შეფასების საერთო სისტემაში.

15<sup>1</sup>. კლინიკურ კურსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ვადები განისაზღვრება შესაბამისი კურსის სწავლების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, კლინიკური როტაციის შესაბამაისად და განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით.

16. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებული სისტემით, „საგამოცდო ცენტრის დებულების“ თანახმად.

### მუხლი 31. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება - მოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით, გათავისუფლებას. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ჩერდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების განმავლობაში მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულებები წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა და ა.შ.)

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) სტუდენტის პირადი განცხადება;
- ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
- გ) აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
- დ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას სასწავლო პროცესში და დადასტურებულია დოკუმენტურად;

ე) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღმვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

ვ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცელითი პროგრამით პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად წასვლისა);

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6. ამ მუხლის მეხუთე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ოთხი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის აქტით, რომელიც გამოცემიდან 1 დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი.

### მუხლი 32. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1.წინამდებარე დებულების 31-ე მუხლით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი (გარდა ადმინიტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერებისა, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტარციას ე.ი. არ გადაიხდის სწავლის დადგენილ საფასურს უჩერდება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის მიერ, ხოლო აღნშნიშნული ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში უნიევრსიტეტი სტატუს აღუდგენს სტუდენტის მისი პირადი განცხადების

გარეშე. სტატუსის აღდგენის ნების გამოვლენად მიიჩნევა მისი მიერ დადგენილი სწავლის საფასურის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა).

2. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, იმავე პირობებით;
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.
4. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენიდან ერთი დღის ვადაში რეესტრში შესაბამისი მონაცემების ასახვას.
5. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

### მუხლი 33. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
  - ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
  - ბ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
  - გ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ მალაში შესვლა, რაც გამორიცხავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;
  - დ) ეთივის კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებით;
  - ე) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
  - ვ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება.

ზ) სწავლების ხანგრძლივობის დამტებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე-აკადემური ჩამორჩენა;

თ) გარდაცვალება ან კანონნმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;

ი) პირადი განცხადება.

2. სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.

3.ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბმისად.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემისას, სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს უნივერსიტეტიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რეესტრში აისახება გამოცემიდან 1 დღის ვადაში.

#### მუხლი 34. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის

მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

3. მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. უნივერსიტეტში შიდა მობილობით სარგებლობა შესაძლებელია სწავლების ერთი სემესტრის დასრულების შემდეგ.

4. მაგისტრატურის სტუდენტს მობილობისა და შიდა მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

5. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

### მუხლი 35. მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს

მობილობის მსურველ პირთა ადგილების საამისოდ განსაზღვრული ფორმით რეგისტრაციას.

2. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მობილობის მსურველის მიერ დაწესებულებაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობები (საჭიროების შემთხვევაში), რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. წინაპირობები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის.

3. უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუგზავნოს დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.

4. აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს, სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მიმღები პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან (არსებობის შემთხვევაში) და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.

5. კრედიტების აღიარება ფორმდება აღიარების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით/დასკვნით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ

პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

7. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

9. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რასაც წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და დაურთავს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

10. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში და სამი სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

11. უნივერსიტეტიდან მობილობის გზით გადასულ სტუდენტს რეესტრში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის აქტით უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 7 დღის ვადაში ვადაში გაიცემა სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია, მოთხოვნისამებრ.
12. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13. მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

### მუხლი 36. შიდა მობილობა

- 1.შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
- 2.შიდა მობილობა შესაძლებელია პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ;
- 3.შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, პროცედურა და ვადები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
- 4.შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი და აღიარების კომისია ამავე წესით გათვალისწინებული კრედიტების აღიარების დებულებების დაცვით, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

5. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი, სტუნდენტთან შეთანხმებით, ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობა ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით და მონაცემები 1 დღის ვადაში აისახება რეესტრში.
6. შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში აღიარების კომისია ვალდებულია შეამოწმოს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.
7. სტუდენტის შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ფორმდება რექტორის აქტით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია 2 კვირის ვადაში ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

### მუხლი 37. მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება უნივერსიტეტის აღიარების კომისიის მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით ამავე დებულების შესაბამისი პუნქტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს მოთხოვნათა დაცვით.
3. უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი.

### მუხლი 38. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და საბაკალავრო/ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო/ სამასგიტრო /სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

2. უნივერსიტეტის რექტორი ბრძანების გამოცემის გზით ქმნის საბაკლავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას (შემდგომში-კომისია). დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორცილებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისტერტაციო საბჭოს დებულებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შემადგნლეობაში შედიან:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი.

4. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია სხვა პირების მონაწილეობა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. კომისია იკრიბება შესაბამისი სემესტრის დასრულების შემდეგ.

6. კომისია შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, დაადგენს დაძლეულ იქნა თუ არა სწავლის შედეგები.

7. კომისიის მუშოაბის ამსახველი ოქმი წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

8. უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი სტუდენტისათვის დიპლომის გაცემის შესახებ.

9. უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კომისიის სხდომის ოქმი.

10. სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.




11. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.

12. კურსდამთავრებულს დიპლომი დანართთან ერთად გადაეცემა თუ დასტურდება რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება.

13. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხარისხის მიმნიჭებელი კომისია რექტორს წარუდგენს ოქმს სტუდენტთა მიერ შესაბამისი პროგრამის დასრულების შესახებ.

14. რექტორი ოქმის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების მომზადებისა და გადაცემის შესახებ.

თავი მეხუთე  
აკადემიური და  
მოწვეული პერსონალი



### მუხლი 39. აკადემიური თანამდებობების განმარტება

- 1.პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძლვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 2.ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 3.ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- 4.ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

### მუხლი 40. აკადემიური თანამდებობის დაკავების პრინციპები

- 1.აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
  - ა) კონკურსი გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის. საზოგადოებისთვის კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით. გამოქვეყნებად არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის მხოლოდ ვებგვერდზე განთავსება.

ბ) კონკურსი თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში.

გ) კონკურენცია სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

#### **მუხლი 41. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები**

1. უნივერსიტეტის პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად, 3 (სამი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

4. უნივერსიტეტის ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 (სამი) წლის ვადით.

5. უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ- პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს პირი პროფესიული ნიშნით ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკიის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

#### **მუხლი 42. კონკურსის გამოცხადება**

1.პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის, ასევე ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მაღალრეიტინგულ სპეციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე ან საქართველოს ტერიტორიაზე გაფრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

### **მუხლი 43. აკადემიურ თათამდებობის დაკავება**

1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი ღია კონკურსის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ ადგილზე შემოსულ განაცხადებს და შეარჩევს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კანდიდატებს.

4. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებული არიან მიიღონ სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ წესებს.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საკონკურსო კომისიის სხვა წევრები კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის ხელმოწერით.
8. გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნოს შერჩეული კონკურსანტები.
9. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება ყველა კონკურსანტს გასაჩივრების ვადის მითითებით.
10. აკადემიური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული პროცედურები დამატებით განისაზღვრება „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით“.

#### **მუხლი 44. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვლეობები**

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
  - ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
  - ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
  - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები უნივერსიტეტში მოქმედირეგულციების შესაბმისად;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

## 2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის წორმები;
- გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
- დ) გაიაროს პროფესიული ატესტაცია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით;
- ე) სამეცნიერო-შემოქმედებითი შეკვეთის დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

## მუხლი 45. აკადემიურ პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა

1. აკადემიურ პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა, მათი უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
2. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა და სამუშაო პერიოდი განისაზღვრება ინდივიდუალურად, რომელიც შეესაბამება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასა და საქართველოს შრომის კოდექსს.

## მუხლი 45<sup>1</sup>. აკადემიური პერსონალის აფილირება

1. უნივერსიტეტისა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის ფორმდება წერილობითი შეთანხმება, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან,

უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

- ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;
  - ბ) აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
  - გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

#### **მუხლი 46. მოწვეული სპეციალისტი - ლექტორი**

1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების მიერ.
2. მოწვეულ სპეციალისტსთან შრომით კონტრაქტს დებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. მოწვეული სპეციალისტი უფლეფამოსილია:
  - ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წარმართვაში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
  - ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის სწავლება;
  - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
  - დ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებები.
4. მოწვეული სპეციალისტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ამ დებულებისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;



თავი მეექვსე  
სხვა დებულებები

[საუნივერსიტეტო  
სერვისები]



**მუხლი 47. ბიბლიოთეკით სარგებლობა**

1. ბიბლიოთეკა მდებარეობს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ ფართში.
2. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით კვირაში 46 საათის განმავლობაში.
3. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პროცედურები, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები განისაზღვრება „ბიბლიოთეკის სარგებლობის ინსტრუქციით“.

**მუხლი 48. კომპიუტერული კლასით სარგებლობა**

1. კომპიუტერული კლასი მდებარეობს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ ფართში და უზრუნველყობს სტუდნეტებისა და სასწავლო პერსონალის მომსახურებას ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით.
2. კომპიუტერული კლასი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.
3. კომპიუტერული კლასით სარგებლობის პროცედურები და ქცევის წესები დამატებით განისაზღვრება „კომპიუტერული კლასით სარგებლობის ინსტრუქციით“.

**მუხლი 49. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა**

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას.
2. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ფრომები, მექანიზმები და პროცედურები განისაზღვრება „უსაფრთხოებისა დაცვისა ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმებით“.

**მუხლი 50. სპეცილაური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურება**

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ადეკვატურ მომსახურებასა და მათთვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.
2. უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების უზრუნველყოფის ფრომები, მექანიზმები და პროცედურები განისაზღვრება „სპეციულური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების უზრუნველყოფის მექანიზმებით“.



1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტი/ნორმა, რომელიც წინამდებარე დებულებისგან განსხვავებულად არეგულირებს საკითხებს.
2. წინამდებარე დებულების ის მუხლები/ნორმები, რომლითაც განსაზღვრულია სადოქტორო სწავლების პროცედურები ამოქმედდეს უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვებისა და სადოქტორო პროგრამის პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ.
3. დებულებას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების განხორციელება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

**EEU...**